სიახლეები საქართველოში ადამიანის უფლებათა
მდგომარეობის შესახებ

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH)
ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

საქართველო. სექტემბერი, 2021 წ.

1. არჩევნები და პოლიტიკური კონტექსტი

2021 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეებს მოუწევთ, ხმა მისცენ და აირჩიონ საკუთარი ადგილობრივი წარმომადგენლები მუნიციპალურ დონეზე. არჩევნები იმართება იმ ფონზე, როდესაც ხშირად გვესმის **თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ხელისშემშლელი ინციდენტებისა და ფაქტების შესახებ.** არჩევნების წინ ერთი თვით ადრე საქართველოს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ 62-მა საჯარო მოხელემ განიცადა ზეწოლა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამო და ათეულობით თანამშრომელი დაითხოვეს სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით[1]. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ხშირი შემთხვევები დაფიქსირდა, მათ შორის იყო, მაგალითად, წინასაარჩევნო კამპანიის შეხვედრებში საჯარო მოსამსახურეების ჩართულობა და ამომრჩეველთა მოსყიდვა[2].

მუნიციპალური არჩევნები ტარდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან თითქმის ერთი წლის თავზე, როდესაც მრავალი ინციდენტი დაფიქსირდა[3]. შედეგების გამოცხადების შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა დაგმეს მასობრივი დარღვევები არჩევნების პროცესში და უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე რამდენიმე თვის განმავლობაში. 2021 წლის თებერვალში პოლიციამ იერიში მიიტანა წამყვანი ოპოზიციური პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბ-ბინაზე და პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებებით, 2019 წლის ანტისაოკუპაციო აქციის დროს „ძალადობისკენ მოწოდების“ გამო, დააპატიმრა მისი თავმჯდომარე ნიკანორ მელია[4]. 2021 წლის სექტემბრის ბოლოს, მმართველი პარტიისა და ოპოზიციის ნაწილს შორის წინა არჩევნების შემდეგ შუამავლების გზით გაფორმებული პოლიტიკური შეთანხმება[5] ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. მმართველმა პარტიამ ამ ხელშეკრულების ანულირება მოახდინა და უარი თქვა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის პირობაზე, თუკი იგი

---

[1] სახალხო დამცველი: წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით 62 დასაქმებულის მიმართ განხორციელდა ზეწოლა: https://www.radiotavisupleba.ge/a/31438323.html

[2] ISFED, 2021 წლის 1 სექტემბრის ოფიციალური წინასაარჩევნო მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში: https://www.isfed.ge/eng/angarishebi/2021-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-ofitsialuri-tsisaarchevno-periodis-monitoringis-I-shualeduri-angarishi#none

[3] ზოგად ტენდენციად ადამიანის უფლებათა ცენტრმა დააფიქსირა, რომ მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარი წაიშალა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, კერძოდ - საარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის ხშირი გამოყენებით. იხ.: ადამიანის უფლებათა ცენტრი, *2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი, 2021 წლის ივნისი:* http://www.hrc.ge/99/eng/; ადამიანის უფლებათა ცენტრი, *საქართველოს რეგიონებში საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი,* 2020 წლის 16 თებერვალი: http://www.hrc.ge/112/eng/

[4] ადამიანის უფლებათა ცენტრი მონიტორინგს უწევს ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებს. იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის დოკუმენტი: *2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი:* http://hrc.ge/files/4520-21%20ivnisis%20samarTlebrii%20analizi-geo.pdf

[5] ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, პრეს-რელიზი, *ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი საქართველოს პოლიტიკურ პარტიებისთვის დღეს გაჟღერებულ ახალ წინადადებას აქვეყნებს*, 2021 წლის 18 აპრილი: https://eeas.europa.eu/delegations/georgia/96786/president-european-council-charles-michel-publishes-new-proposal-made-today-georgian-political_en

მუნიციპალური არჩევნების დროს მიიღებდა ხმების 43% -ზე ნაკლებს.

<u>ზემოთქმულის გათვალისწინებით ვთხოვთ ევროკავშირს, დაჟინებით მოსთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას:</u>

- გამოიძიოს საჯარო მოსამსახურეების წინააღმდეგ პოლიტიკური ზეწოლის შემთხვევები, საარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება, ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები და სხვა ინციდენტები, რაც ძირს უთხრის მომავალი არჩევნების თავისუფალ და სამართლიან ხასიათს; მიიღოს ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკური პარტიების მხრიდან მსგავსი პრაქტიკა წინასაარჩევნო პერიოდში;
- შესრულდეს 19 აპრილის შეთანხმებაში ასახული ვალდებულებები, რომლებიც შედგა „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციის ნაწილის წარმომადგენლებს შორის, მათ შორის ის ვალდებულებები, რაც დაკავშირებულია საარჩევნო პროცესთან და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან.

2. <u>სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა</u>

2019 წელს დაწყებული სასამართლო ხელისუფლების ზეწოლის ტალღა ოპოზიციური ფლანგის ლიდერებისა და ყოფილი საჯარო მოხელეების წინააღმდეგ გრძელდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა მონიტორინგი აწარმოა 32 სასამართლო პროცესზე, რათა შეეფასებინა მათი შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან. 2020 წლის შუალედურ ანგარიშში ასახული პრობლემებიდან მრავალი კვლავ აქტუალურია[6], კერძოდ: სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების მხრივ არსებული პრობლემები, მათ შორის - საჯარო მოსმენის უფლების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლების, დუმილის უფლების, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების, დაპატიმრებისას ადვოკატის ყოლის უფლებისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის მხრივ. ამასთან, 2020 წლიდან იმატა პოლიტიკური ფიგურებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ პოლიტიკურად მოტივირებულმა სასამართლო პროცესებმა, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის წარმოების მხრივ. ასეთ სასამართლო პროცესებში დაფიქსირებული დარღვევების დეტალური აღწერა შევა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმდინარე შუალედურ ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნდება 2021 წლის ოქტომბერში.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ აქტუალურია[7]. საქართველოს მოქალაქეთა უნდობლობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ კვლავ მაღალია, ხოლო ვენეციის კომისიის რეკომენდაციები[8] ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წესი ჯერ კიდევ არ მოსულა შესაბამისობაში ზემორე რეკომენდაციებთან. საქართველოს ხელისუფლებამ ასევე უგულებელყო სამოქალაქო საზოგადოების მოწოდება, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების განხორციელებამდე მოსამართლეთა ახალი დანიშვნები არ განხორციელებულიყო. „ქართული ოცნების“ უმრავლესობით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა 2021 წლის ივლისში ექვსი ახალი მოსამართლე გაამწესა[9].

---

[6] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიში სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების შესახებ, 2020:
http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/MONITORING%20---WITH%20ALLEGED%20POLITICAL%20MOTIVES%20-%20Interim%20Report-eng_c.pdf

[7] საჭირო რეფორმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. 2020 წლის ოქტომბრიდან წარმოებული საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ სიახლეების FIDH-HRC საქართველოს ერთობლივი დოკუმენტი.

[8] ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), საქართველო, სასწრაფო დასკვნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის შესახებ, 2020 წლის 21-22 ივნისი: https://www.venice.coe.int/webforms/documents//?pdf=CDL-AD(2019)009-e

[9] *საქართველოს პარლამენტი უზენაეს სასამართლოში ექვს მოსამართლეს ნიშნავს, მიუხედავად* დანიშვნის შეჩერების შესახებ მოწოდებებისა, Agenda.ge, 2021 წლის 12 ივლისი: https://agenda.ge/en/news/2021/1946

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვთხოვთ ევროკავშირს, დაჟინებით მოსთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას:

- ჩაერთოს პროცესში, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის რეფორმირებას მისი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით, მათ შორის - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების გზით, მოსამართლეთა დაწინაურების გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმების სისტემის შემუშავების გზით, და მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების არსებული საფუძვლების გადასინჯვის გზით;
- სათანადოდ შესრულდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წესის შესახებ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები; არ დაინიშნონ ახალი მოსამართლეები, ვიდრე აღნიშნული რეკომენდაციები არ გატარდება ცხოვრებაში;
- ცვლილებები შევიდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამჟამად მოქმედ კოდექსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან;
- სრულად შესრულდეს საქართველოს მიერ ნაკისრი ეროვნული, ევროპული და საერთაშორისო ვალდებულებები სამართლიანი სასამართლოს უფლების მხრივ.

3. მშვიდობიანი შეკრების უფლება

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ **2021 წელს ქვეყანაში ჩატარებულ საპროტესტო აქციათა უმრავლესობის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევას**. ადამიანის უფლებათა ცენტრის შუალედურ ანგარიშში[10], რომელიც 25 აგვისტოს გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ სამართალდამცავებმა არ მისცეს **მომიტინგეებს დროებითი კონსტრუქციების დადგმის შესაძლებლობა,** როგორიც არის: კარვები, დასაკეცი საწოლები ან ბანერები და ძალაუფლების გადამეტებით დააკავეს ის პირები, რომლებიც ცდილობდნენ ამის გაკეთებას[11]. მსგავს ფაქტებს რეგულარული ხასიათი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ დროებითი კონსტრუქციების დადგმის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით[12], საქართველოს უზენაესი სასამართლოს[13] გადაწყვეტილებებითა და ეუთო / ოდირის სახელმძღვანელო პრინციპებით[14].

ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო არაპროპორციული შეზღუდვები გადაადგილების **თავისუფლების მიმართ,** რამაც ასევე გამოიწვია მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა. ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების დროს, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა დააფიქსირა, რომ სპეციალური საპოლიციო ზომებით მოსახლეობას შეეზღუდა სოფელ ნამოხვანში შესვლის უფლება, სადაც საპროტესტო აქციები[15] უნდა გამართულიყო. ასევე, აქ მოხდა პროტესტის ორგანიზატორთა ძალაუფლების გადამეტებით დაკავება და დაჯარიმება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სარგებლობდნენ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით.

2021 წლის 1-5 ივლისის პრაიდის კვირეულის ორგანიზებას, რომლის ფარგლებში იგეგმებოდა ღირსების მარში, ხელი შეუშალა ჰომოფობიურმა საჯარო განცხადებებმა, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლების მხრიდან[16]. 5

[10] ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველო, *საპროტესტო დემონსტრაციების მონიტორინგი - 2021 წლის შუალედური ანგარიში, 2021 წ.* 25 აგვისტო: http://www.hrc.ge/271/eng/

[11] 2021 წლის 19-20 თებერვლის აქციები საქართველოს პარლამენტის წინ: https://www.osce.org/files/f/documents/4/0/73405.pdf

[12] საქმე: ECHR, Tabernacle v Secretary of State for Defence, 5 February 2009: https://www.casemine.com/judgement/uk/5a8ff71160d03e7f57ea70a9

[13] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე №3/6463-16.

[14] ეუთო / ოდირის სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების შესახებ, §18, 2010: https://www.casemine.com/judgement/uk/5a8ff71160d03e7f57ea70a9

[15] აღნიშნულმა შეზღუდვებმა გადაადგილების თავისუფლებაზე ხელი შეუშალა მომიტინგეებს პროტესტის ადგილზე, როგორც მათი მოძრაობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე მისასვლელად. სოფლის ამ ადგილიდან მათ შეეძლოთ ეცქირათ ჰიდროელექტროსადგურის მიმდინარე მშენებლობისთვის.

[16] საქართველოს საპატრიარქომ განაცხადა, რომ პრაიდი „*მიზნად ისახავს მძიმე ცოდვის დაკანონებას*“, და ასევე

ივლისს ჰომოფობიურმა ჯგუფებმა კონტრაქცია გამართეს და ძალადობრივად თავს დაესხნენ მრავალ ჟურნალისტს და ლგბტქი+ თემის უფლებების დამცველს, რამაც გამოიწვია ორგანიზატორების მიერ ღირსების მარშის გაუქმება უსაფრთხოების მიზნებით[17]. **ჟურნალისტებისა და მომიტინგეების უსაფრთხოების დაცვა პოლიციამ ვერ შეძლო,** ხოლო ერთი ჟურნალისტი საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს აქციაზე სასტიკად ცემიდან რამდენიმე დღეში[18]. პოლიციამ სათანადოდ ვერ დაიცვა მეორე დღეს სპონტანურად გამართული აქციის - „მდუმარე პროტესტის" მონაწილეებიც, რომლებიც გმობდნენ 5 ივლისს[19] განხორციელებულ ძალადობას.

2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით, 31 დაკავებულ პირს სისხლის სამართლის ბრალი წაეყენა ძალადობრივი აქტების გარკვეული ეპიზოდებისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლისთვის, მაგრამ არა მშვიდობიანი შეკრების უფლების ხელყოფისთვის.

(სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლი), თუმცა ცალსახა იყო კონტრაქციის მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ პრაიდის დემონსტრაციის ჩახშობა.

<u>ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვთხოვთ ევროკავშირს დაჟინებით მოსთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას:</u>

- თავი შეიკავოს მშვიდობიანი შეკრების უფლების არაპროპორციული შეზღუდვებისგან, კერძოდ, მშვიდობიანი შეკრებების დროს საპროტესტო კარვებისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აღმართვის აკრძალვისგან;
- ყველა საჭირო ზომა მიიღოს მშვიდობიანი შეკრების უფლების დასაცავად, მათ შორის სამართალდამცავთა შესაბამისი გადამზადების გზით;
- აწარმოოს დაუყოვნებლივი და დამოუკიდებელი გამოძიება სამართალდამცავებისა და სამოქალაქო პირების მხრიდან მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევის ფაქტებზე, კერძოდ, ჟურნალისტებისა და სამოქალაქო პირების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი თავდასხმების ფაქტებზე ღირსების მარშთან კავშირში. მოახდინოს დამნაშავეთა იდენტიფიცირება და სამართალში მიცემა.

4. <u>უკანონო მიყურადების ბრალდებები</u>

2021 წლის 13 სექტემბერს ანონიმურმა პირმა, სავარაუდოდ - სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა ათასობით საიდუმლო ფაილი დაუგზავნა ათობით ქართველ ჟურნალისტს. ეს ფაილები შეიცავდა მართლმადიდებელი სასულიერო პირების, ჟურნალისტების, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, საჯარო მოსამსახურეებისა და უცხოელი დიპლომატების[20] პირადი ცხოვრების ამსახველ მასალას. მამხილებელი პირის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებას[21] მოპოვებული ჰქონდა უკანონო მიყურადების გზით 2014 წლის შემდეგ ანუ „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ჟურნალისტები, რომლებმაც ფაილები მიიღეს,

---

განაცხადა, რომ ჰომოსექსუალობა იყო „უკუღმართი *ცხოვრების წესი*". იხ: *„ეკლესია გმობს თბილისის პრაიდს"* Civil.ge, 3 ივლისი, 2021: https://civil.ge/archives/429890; პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ღირსების მარშის მონაწილეები დაადანაშაულა არეულობის მოწყობაში. იხ.: პრემიერ მინისტრი ღირსების მარშს მიზანშეუწონლად მიიჩნევს, და „რადიკალურიოპოზიციის" მიერ ორგანიზებულად თვლის, civil.ge, 5 ივლისი, 2021 წ.: https://civil.ge/archives/430522

[17] *საქართველოს ლგბტქ აქტივისტებმა ღირსების მარში გააუქმეს შეტაკებების შემდეგ,* Euractiv.com, 6 ივლისი, 2021: https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/georgia-lgbtq-activists-cancel-pride-march-after-clashes/

[18] საქართველოში ათასობით ადამიანი გამოვიდა აქციაზე ტელეოპერატორის გარდაცვალების შემდეგ Europv.EU,12 ივლისი, 2021 წ.

[19] ანტი *ლგბტქ* ჯგუფების ძალადობის შემდეგ ათასობით ადამიანი გამოვიდა საქართველოში აქციაზე, Euractiv.com, 7 ივლისი 2021: https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/thousands-rally-in-georgia-to-protest-anti-lgbtq-violence/

[20] *ანგარიშები:* საქართველოს უსაფრთხოების სამსახური უსმენდა *ამერიკელ ელჩებს,* Civil.ge, 15 სექტემბერი, 2021: https://civil.ge/archives/440471

[21] *სავარაუდო უსაფრთხოების ფაილები: ფულის გათეთრება, მექრთამეობა მაღალი იერარქიის სასულიერო პირებში,* Civil.ge, 20 სექტემბერი, 2021: https://civil.ge/archives/441232

სწავლობენ მათ, რადგან გაურკვეველია, ინფორმაციის რა ნაწილია ავთენტური. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო ინფორმაციის გაჟონვის კანონიერების საკითხთან მიმართებით[22].

<u>ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვთხოვთ ევროკავშირს, დაჟინებით მოსთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას:</u>

- უზრუნველყოს, რომ გენერალური პროკურატურის გამოძიება უკანონო თვალთვალისა და მიყურადების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით წარიმართოს სწრაფად და დამოუკიდებლად, რათა გამოვლინდეს დამნაშავე პირები და მიეცეს ისინი პასუხისგებაში.
- იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ სახელმწიფო უშიშროების სამსახური ეწეოდა ფართომასშტაბიან უკანონო მიყურადებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს ამ პრაქტიკის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და იგი არასდროს განახლდეს მომავალში.

[22] გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით (პირველი და მეორე ნაწილი), რომელიც ითვალისწინებს კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერას ან მიყურადება, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის უკანონო მოპოვებას და მის უკანონო გავრცელებას. იხილეთ: *პროკურატურის გამოძიება უსაფრთხოების სამსახურიდან გაცხადებული ინფორმაციის შესახებ* *Civil.ge*, 14 სექტემბერი 2021:https://civil.ge/archives/440227